# eSIM ინტერნეტი




## ლაგის eSIM ინტერნეტით სარგებლობის ინსტრუქცია

ჩვენ გთავაზობთ სხვადასხვა რეგიონის თუ ქვეყნის ინტერნეტ პაკეტებს, რომლის გააქტიურებისთანავე იმ კონკრეტულ რეგიონში (კონტინენტზე) გექნებათ ინტერნეტი.

eSIM ინტერნეტით სარგებლობისთვის აუცილებელია თქვენს მობილურ ტელეფონს ჰქონდეს eSIM ტექნოლოგიის მხარდაჭერა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ისარგებლებთ.

# ინტერნეტის ბალანსის შევსება







## ბალანსის შევსება

eSIM ინტერნეტ პაკეტების შესაძენად აუცილებელია ჯერ შეავსოთ ბალანსი კონკრეტულად ინტერნეტისთვის. ბალანსის შევსება შეგიძლიათ აპლიკაციიდანვე. ამისათვის უნდა დააჭიროთ ღილაკს ბალანსის შევსება და გაგიხსნით შესაბამის გვერდს, სადაც უნდა მიუთითოთ თანხის ოდენობა და დააჭიროთ გადახდას

შემდეგ გადახვალთ გვერდზე, სადაც უნდა მიუთითოთ თქვენი საბანკო ბარათის მონაცემები და თანხა დაგიჯდებათ ბალანსზე.

ბალანსის შევსების შემდეგ შეძლებთ შესაბამისი ინტერნეტ პაკეტის შეძენას ერთი ღილაკის დაჭერით.

# ინტერნეტ პაკეტის შეძენა




## ინტერნეტ პაკეტის შეძენა

ბალანსის შევსების შემდეგ ინტერნეტ პაკეტების სანახავად უნდა დააჭიროთ ღილაკს პაკეტები, სადაც იხილავთ სხვადასხვა რეგიონის ჩამონათვალს.

ლაგი გთავაზობთ ევროპის, ამერიკის, აფრიკის, აზიისა და სხვა რეგიონალურ ინტერნეტ პაკეტებს, რომლებიც მუშაობს მთელი კონტინენტის მასშტაბით.

პაკეტის შესაძენად უნდა აირჩიოთ რეგიონი, შემდეგ კი შესაბამისი პაკეტი და დააჭიროთ ღილაკს Buy Now

თუ ბალანსი გაქვთ პაკეტის შეძენა მოხდება რამდენიმე წამში. თუ არ გაქვთ საკმარისი თანხა ბალანსზე, მიიღებთ შესაბამის შეტყობინებას.

# iOS-ზე eSIM-ის გააქტიურება




## QR კოდის დასკანერება

ყველა რეგიონის/ქვეყნის პაკეტს მოყვება თავისი eSIM (ელექტრონული სიმ-ბარათი) რაც უნდა გააქტიუროთ პირველად პაკეტის შეძენისას ხოლო, მომდევნო შეძენაზე გააქტიურება იგივე ქვეყნის/რეგიონის eSIM-ს აღარ დასჭირდება, რადგან ტელეფონში უკვე იქნება გააქტიურებული ლაგის eSIM იმ კონკრეტული რეგიონის.

როდესაც პაკეტს შეიძენთ, დაბრუნდით მთავარ გვერდზე და დააჭირეთ ღილაკს QR კოდი.

ამის შემდეგ გამოჩნდება იმ რეგიონების QR კოდები, რომელთა პაკეტებიც გაქვთ შეძენილი. გასააქტიურებლად გთხოვთ, დაასკანეროთ QR კოდი. ამისათვის თქვენი QR კოდი უნდა ამობეჭდოთ ან სხვა ეკრანზე გახსნათ და თქვენი ტელეფონის კამერით დაასკანეროთ.

აუცილებელია ტელეფონი Wi-Fi სთან იყოს კავშირში !

# eSIM-ის აქტივაცია




## QR კოდის დასკანერების შემდეგ უნდა დააჭიროთ ღილაკს Continue

ამის შემდეგ მიყევით ინსტრუქციას. აქტივაციის დროს მოგთხოვთ რომ აირჩიოთ თუ რომელი SIM ით უნდა ისარგებლოს ტელეფონმა კონკრეტულ შემთხვევაში.

Default Voice Line – ნიშნავს ზარების მიღებას. აირჩიეთ თქვენი არსებული SIM, რომ ზარები შემოგივიდეთ, რადგან ლაგის eSIM არის მხოლოდ ინტერნეტისთვის.

iMessage– ნიშნავს SMS სერვისს. აქაც აირჩიეთ თქვენი არსებული ნომერი, რომ SMS სერვისი იყოს აქტიური.

Mobile Data – მობილური ინტერნეტი. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ მიუთითოთ ლაგის eSIM, რათა ისარგებლოს ტელეფონმა ლაგის ინტერნეტით.

თუ რაიმე შეგეშალათ შეგიძლიათ შეხვიდეთ Settings — Mobile Services და შეძლებთ ცვლილებების გაკეთებას.

# eSIM-ის ჩართვა/გამორთვა




## eSIM-ის მართვა

შედიხართ Settings – Mobile Services და აჭერთ ლაგის eSIM-ს (რომელსაც შეიძლება ერქვას Business/Secondary/Travel და სხვა, რასაც QR კოდის დასკანერებისას დაარქმევს ტელეფონი

Mobile Plan Label – eSIM -ის სახელის გადარქმევა. (დაარქვით ლაგი)

Turn on This Line – აუცილებლად ჩართეთ, რომ eSIM იყოს ჩართული

Data Roaming – ჩაურთეთ, რადგან ხშირ შემთხვევაში საჭიროა, რომ ქვეყნიდან - ქვეყანაში გადასვლისას ინტერნეტის მიწოდება არ შეფერხდეს.

ამ ყველაფრის შემდეგ გამოდიხართ eSIM-ის გვერდიდან და Mobile Data-ში ირჩევთ Lagi-ს, რომ ლაგის ინტერნეტის მოხმარება დაიწყოს ტელეფონმა

# Android-ზე QR კოდის დასკანერება



# Android-ზე ლაგის eSIM-ის ჩართვა



# Android-ზე Data Roaming-ის ჩართვა



# დარჩენილი მეგაბაიტების გაგება




## დარჩენილი მეგაბაიტების შემოწმება

დარჩენილი მეგაბაიტები შეგიძლიათ შეამოწმოთ აპლიკაციაშივე. როდესაც შეიძენთ პაკეტს, მთავარ გვერდზე გამოჩნდება თუ როდემდე არის აქტიური და რადენი მეგაბაიტი გაქვთ დარჩენილი.